

85  
1915

№ 15

26 აპრილი 1915 წ.

მიიღება ხელის მოწერა  
უკონფორმოდ  
წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

მიური და სალიტერატურო შუიხალი


რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წალიწადი მეოთხე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტის: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ მ ვ ი:

1. გარდაიცვალა. — დ. კასრაძისა.
2. ჩუკ და ცხოვრება. — ქართლელისა.
3. მომხმარებელი საზ. „მეურნე“. — რ. გესი.
4. კამილაჯა (შატარა აბაჯი). — მელანიასი.
5. უზრუნველ ქართულის დიურისა. — გ. აბ—ელისა.
6. სარქისიდა. — რ. ენი.
7. სხვა და სხვა ამბები.
8. გერმანიის სხვაშენები — გ. ჯანაშვილისა
9. დაბრმავებული ბილატი. — X ა.
10. ქართ. სსს.-სამ. საზოგადოებას. — ე. ალშიბაიასი.



† ნიკო ლომოური.

24 აპრილს, საღამოს ეამს, მოკლე ხნის  
ივადმყოფობით გარდაიცვალა ძვირფასი ჩვე  
ნი მეგობარი

**ზავლე ალექსის-ძე**  
**კალანდარიძე**

რასაც საზოგადოებას გულმწუხარებით აუწყებენ მიცვალებულის გულითადი მეგობრები.  
დაკრძალვა მოხდება დღეს კუკის წმ.  
ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება, დილის ათ  
ს. კირპიჩნი შესახვევი № 12.



# გარდაიცვალა!

17 აპრილს ქ. გორში გარდაიცვალა ჩვენი დამსახურებული მწერალი და მასწავლებელი ნიკოლოზ მოური. ეს ამბავი მით უფრო არის სამწუხარო, რომ მისი ნათელი სახე ისევ თვალწინ გვიდგა, სიკვდილი მისი დაუჯერებელად მიგვაჩნია. და განა გუშინ არ იყო, სწორედ გუშინ, როდესაც ჩვეულებრივი წყნარი, თავაზიანი კილოთი მოგვითხრობდა თავის მოგონებას აკაკის შესახებ? მახსოვს, როგორი სათნოიანი იყო მისი მეტყველება, როგორი გულწრფელი სინანული დიდი მგოსნის დაკარგვის გამო! „როდესაც გორის სადგურზე მოასვენეს, — სთქვა ნაღვლიანად, — დავემხე მის კუბოს თავთან, დიდხანს დაეკურებდი ხმა გაკეწილი და როდის — როდის ჩავეკითხე გულმღულარებით: შენ წახველ, მაგრამ შენს მაგიერს ვის გვიტოვებ-მეთქი, მაგრამ... პასუხი არ მაღირსა!“ ყველას ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. რაღაც მისტიურმა მხილებამ, რომ „პასუხი აღარ აღირსა“, — ყველა ერთსა და იმავე გრძნობაზე დააყენა, რომ ბედი ჩვენი უკვე შემოქილი იყო, სამშობლოს ჰორიზონტს უჭრებოდა მასივობაზე ბელი ბეთლემის ვარსკვლავი... მაგრამ ეს იყო წუთიერად. ჩვენი კაეშანი თეატრის გარედ აღარ გაგვიმზეურებია, რადგანაც ახლოგაზრდა საქართველოს არ სჯერა სიკვდილი, მას სწამს მომავალი, ასეთ დიდ ქურუმთა გარდაცვალებას, მართალია იგლოვს იგი, მაგრამ გლოვა მისი მეტად საღია, არა სასოწარკვეთილებრივი, არამედ იმედით გასხივოსნებული იგი ჰმადლობს შემოქმედის უცნობს და უცნაურ ძალას, რომელმაც აცალა ქურუმს ხანგრძლივი სიკვდილის სარბიელი... დღეს წისქვილი შემოტრიალდა და ჯერი ძვირფას ნიკოზე შეაყენა! დიდი დანაკლისია ესეც, ვგრძნობთ ტკივილებს, მაგრამ არ მოვუწოდებთ დედებს ძაძის ჩასაცმელად, სამგლოვიარო ზარს არა ვრეკთ, არა! ახლოგაზრდა საქართველო საკმაოდ მოლონიერებულია, იგი ჰმადლობს თავის აღმზრდელს, ტკბილს მოუბარს და ჭირსა და ღზინში დამრიგებელ ძვირფას მასწავლებელს, რომელმაც მთელი თავისი სიკვდილით ისუნთქა სამშობლოს მწუხარება, მის შავ ბედის კაეშნის სიმწარე, რათა ნორჩი თაობისთვის გარდაეცა იმედის ფოლადი მახვილი, სასოების ცისარტყელის შვიდფერა ხავერდოვანი ფრთა, რომელიც გვიბრღება უკვდავებას! ამისი თავდებია „წინაპართა დიდე-

ბული აჩრდილნი“, რომელთა შორისაც ვხედავთ ჩვენს ნიკოს გაბრწყინებულ და შარავანდელით მოსილ სახეს, რომლის გული სამშობლოს საკურთხეველის ცეცხლით იყო დამწვარი და ნაცრად ქცეული.

წიგნი  
გადაცემის  
დ. კახრაძე.

# ჩვენ და ცხოვრება

თანამედროვე ომმა საოცარ სახით ცხად ჰყო რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენა. რაც შეეხება საქართველოს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჯერ კიდევ პირვანდელს მდგომარეობაშია იგი. რა თქმა უნდა, ეს ამბავი არ ახალია, ძველი, წინადაც შეგნებული გვექონდა ჩვენი ჩამორჩენა, მაგრამ ამ გვარი შეგნებისათვის არ ვცდილობდით შესაფერი მალამო მოგვენახა, ან თუ ვცდილობდით, ისიც კანტი-კუნტად, გაზეთის ფურცლებზე, თორემ ცხოვრებაში რეალურად არავითარი ზომები არ მიგვიღია განახლებისთვის, რისგანაც ახალი აზრი უნიათო რეცეპტად დარჩენილა ობ-მოკიდებულ არქივებში განსასვენებლად. ამას მოითხოვდა ქართველის მოშხამული პსიხიკა, მისი უდარდელი ბუნება, რომელსაც რეზანიორობა უფრო უყვარს ვიდრე ხელის განძრევა და ბუნდოვანი თეორიები და ჰაერში ნავარდი, ვიდრე პრაქტიკა. ამ ბუნებამ, ამ გვარმა თეორეტიკოსობამ ქართველი ყველას პატრონი გაჰხდა, ოღონდ არა თავისთავის მომვლელი. აბა ჰკითხე, რა აკლია ფრანგთა პარლამენტს, ანუ ლორდთა პალატსა, იგი მზად არის გიპასუხოთ, ჰკითხეთ, რა იქნება ხუთასი წლის შემდეგ, როგორ მოეწყობა ცხოვრება, აქაც მზად არის გიპასუხოთ, ათასი იდილიური სურათები გაგიჭიმოთ, თვითონ მერცხლებსა და პეპელებს დაედვენოს და თქვენც აგიყოლოთ თან! სამაგიეროდ ჰკითხეთ, როგორ და რანაირად ვუშველოთ თავს, როგორ დაედლიოთ სიღარიბე, რა პასუხი გავცეთ კარს მომდგარ ჭირს, — იგი სრულებით მკონარეა, ან ისეთს პასუხს გავცემთ, რომ არც კი იცოდეთ ვისთან გაქვს საქმე, ჰკუადმყოფელთან თუ ავადმყოფთან! რად მოხდა ასე? ეკითხებით თავს განცვიფრებული და პასუხი ვერ გიპოვნიათ. მაგრამ ჰღირს დაუფიქრდეთ, ოდნავი ანალიზი გავაკეთოთ რომ გამოუცნობი გამოვიცნოთ.

ქართველი ძველ ფეოდალურ ცხოვრების ნაშთ

თა ნანგრევებზე ჩაება რუსეთის ცხოვრებას და ხარბად დაეწაფა სქოლასტიკურ განათლების მიღებას. ცხოვრებას დაშორებული ჯერ თავად აზნაურობა აღვილად შეეთვისა ისეთს სასწავლებელს, სადაც ხელის განძრევა იმდენად არ იყო საჭირო, რამდენადც ტვინის ღიტიანი. ეს ღიტიანი მით უფრო იყო სასიამოვნო, რომ მას ჰპირდებოდა მოხელის ბეჭდობა და ღიტიანობა, ეპოლოტებს; შემდეგ მასსა, გლეხობა, როცა განაიღებდა საჭიროებად გარდაიქცა, მისგან იღებს მაგალითს და მალე მოელი ჩვენი ფიქრი, ჩვენს ზრახვათა და იდეალების გასაქანი სარბიელი თერგის გარდაღმა მხარეს გარდაგვეშალა, სქოლასტიკურ კედლების შუა, ეს იმ სქოლასტიკურ კედლები შუა, რის გამოც თვით სახელმწიფომ იწუნია სიმწარე თავის ეკონომიური ჩამორჩენისა. აბა გადავხედოთ რუსეთის დღევანდელ პრესას, რას სჩივის იგი რას ჰვალალებს, რა პრობლემებს სწყვეტს? ყველა ჰგონობს, ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ რუსეთი ასეთი სქოლასტიკურ სწავლა განათლების გამო ჩამორჩა და უნებურად თავის მოსისხლე მტრის — გერმანიის ვახალი ვახდა ეკონომიური დამოკიდებულებითაა. და მართლაც: რუსეთმა მხოლოდ დღეს იგრძნო სპეციალისტთა საჭიროება, ვიდრე აკადემიური სწავლა-განათლება. საქსოვ წარმოებაში, საღებავისა, მედიკურს, სამანქანო, საფარმაცევტევო, სასოფლო სამეურნეო წარმოებაში და სხვა და სხვა, იგი უაღრესად მსაჭიროებს გერმანელთა ხელს. ეს უფრო იმიტომ არის სავალალო, რომ ნედლი მასალა აუარებელი მოეპოვება, იმდენად საძიკოა, რომ შეუძლიან თამამად საზღვარგარეთაც გაიტანოს. მაგრამ სად არის სპეციალისტთა კადრი, სად? აი, ამიტომაც, რომ დღეს მორიგ საკითხად წამოყენებულია არა მარტო ის პრობლემა, თუ როგორ და რანაირად განთავისუფლდეს რუსეთი გერმანიის ბრჭყალებიდან, არამედ ის, რომ განთავისუფლების შემდეგ გერმანიის ადგილი ახლი სხვამ არ დაიჭიროს, თუნდა დღევანდელი მოკავშირემ და, შესაძლებელია, ხვალ დაუძინებელმა მეტოქემ — ინგლისმა, ანუ საფრანგეთმა. \*)

ჩვენ ამ უამად სრულებითაც არ გვაინტერესებს ის საკითხი, თუ როგორ და რანაირად მოიქცევა რუსეთი, როგორ დაახწევს თავს გერმანიის მრეწველობისა და წარმოების გავლენას, როგორ და რა გზით დაადგება თანდათანობით საკუთარ ეკონომიურ განვითარების გზას და სხვ. ამისთვის რუსეთ-

ში ბევრი არიან სავალალო. ჩვენი სურვილია დავუბრუნდეთ ჩვენ მშობელ მხარეს და ვიკითხოთ, სადაა ხსნა, რა გვეშველება?

ჩვენი ღრმა რწმენით, პირველად ყველასათვის სავალალოდ უნდა პასუხისმგებელი, რომ შევიგნოთ სქოლასტიკურ სწავლა-განათლების უყარგისობა. დღემდე ჩვენ ვეწაფებოდით კლასიკურ გიმნაზიებს. რას გვასწავლის იგი? მხოლოდ სიზარმაცეს, ქუჩების რკეპნას, არავითარ შრომის მეთოდს, ჰაერის ფრენას და ყურმოქრილ მოხელეობის კალმის წრიბინს. საქართველო მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მისი შვილი ათასობით უკვალოდ დაიკარგა. ვიკითხოთ, სად არიან ის ათასი და ათათასი ახალგაზრდობა, რომელთაც გიმნაზიები დაგვითავებს? გვიჩვენონ თუნდა ისეთი ცენტრალური ფიგურა, რომელზედაც შეგვეძლოს მივუთითოთ, მადლობა ღმერთს, აგერ ეს ერთი მაინც გაზრდილაო! არა, ჩვენი ცხოვრებისთვის ყველანი სამრადლო კაცუნებად დარჩნენ. მათ სამოხელეო ასპარეზოც კი ვერ უბოვნიათ სამშობლოს გულში და იძულებულნი გამხდარან შიდა რუსეთში გადიკარგნონ და ხშირად სამარადისოდ მოსწყდნენ სამშობლო ღრუბელს. ჩვენი ქვეყანა კი არ მსაჭიროებს ასეთ აკადემიკ-სქოლასტიკ მოხელეებს. იგი, როგორც მეურნეობის ქვეყანა, მსაჭიროებს ამ დარგის ხალხს, სპეციალისტებს. გაჰხედეთ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეს: ყოველს თავისი სპეციალური თვისება აქვს, ერთგან შეგიძლიანთ ხილი მოიყვანოთ, მეორედგან ღვინო, მესამე — აბრეშუმში, პური... მარტო აბრეშუმში რა არის, სამეგრელო რომ ავიდოთ და ეს საქმე იმდენად მაინც მოვაწესრიგოდ, რომ თვითველს ოჯახს ათიოდე გირვანქა აბრეშუმის მოყვანა შეეძლოს წლიურად უკანასკნელი ხუთი მილიონი შემოსავალი გვექნებოდა. ახლა მოვაწესრიგოთ ხილის საქმე, ღვინო, ყველა ეს ისეთი საქმეა, სადაც დიდი ქარხნების გაღება არ არის საჭირო, რომ ჩვეულებრივ ვიტიროთ და ვიწრიბინოთ, ფული არა გვაქვს, საშუალება არ მოგვეძებნება და უნებურად უცხოთა წარმოების მონები უნდა ვიყვნეთო! მაგრამ რა ეს, აიღეთ, ბატონებო, ისეთი ცხადი მაგალითი, რომელიც ჩვენს ბედოვლადობის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება: ბაზარზე დღეს შეშა, ფქვილი, ნახშირი არ გამოდის ქართველის ხელიდან. ნუ თუ თბილისში დღემდე ქართველით არ უნდა ჰქონდეს შეშისა და ფქვილის საწყობები? მაგრამ ჩვენი უთაურობით ყოველისფერი დავკარგეთ, ბუნების მიერ ნაჩუქარი სხვის ხელ-

\*) იხ. „რუსკ. ვკლ.“ № 48

ში ჩავაგდეთ და ამავე დროს ვტიროთ, ღარიბები ვართო! სჩანს, ქართველ ერს ნაძალადევად ჰსურს სხვას ეყმოს, თორემ ის პირობები, რომელიც მას აქვს, ის ბუნებრივი სიმდიდრე აუწერელი დოვლათია, საშვილიშვილო და საშთამომავლო სიმდიდრე, რომელსაც სხვა ერი ოცნებითაც ვერ წარმოიდგენს!

რა თქმა უნდა, ჩვენი ნაკარნახევი უბოლო პოლიტიკად დარჩება, თუ კი სპეციალისტები არ გვეყოლებიან, თუ ნელ-ნელ და ბეჯითი ნაბიჯით თავი არ გავანებეთ გიმნაზიებს და სპეციალისტთა შესათერისი კადრი არ შევქენით. ჩვენი მოვალეობაა ამ კადრის შექმნა მორიგ ხაკითხად გარდავაქციოთ და ენერგიულად შევუდგეთ პროფესიონალ ცოდნათა გავრცელებას. თუ ეს მოვახერხებთ, თუ ეს შეგნება გასწავადობებრივდება, მაშინ ბოლო მოვლება ეპიდემიურ გატაცებას გიმნაზიურ ცოდნის მისაღებად არა თუ დიდ ქალაქებში, არამედ თვით ისეთ დაბებშიაც კი, როგორც არის ხაშური, სურამი, ჩხარი და მრავალი სხვა. ჩვენ გვესმის, როდესაც მთავრობა გვიხსნის ასეთ გიმნაზია-პროგიმნაზიებს, გვესმის ამგვარი პოლიტიკის დედა აზრი, მისი სიზანი, მაგრამ ის კი სულ ველარ წარმოგვიდგენია, თუ რა გვრჯის, ან რა გვაწუხებს, როდესაც ჩვენ ჩვენი გახრეკილი ჯიბიდან გაღებულ ფული იმავე სქოლასტიურ ტიპის სასწავლებლებს ვხსნიან! ეს არის უდიდესი ცოდვა, ცოდვა, რასაც ჩვენი შთამომავლობა არ გვაპატიებს! ჩვენი გადაგვარება, ჩვენი სიმახინჯე სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ამგვარ ტიპის სასწავლებელთა გახსნას თითქმის ყოველ დღე ვითხოვთ და არც ერთი სპეციალური სასწავლებელი, არც ერთი სამეურნეო აბა გავხედოთ ჩვენს მეზობელ სომხებს, მარტო თბილისში თვალი გადავივლოთ მათ კერძო სასწავლებლებს, თუ ყოველგან „კომერცია“ არ დავინახოთ და ჩვენ... ჩვენ ალტაცებაში მოვდივართ, გაბრუებული ტაშს ვუკრავთ თუნდა „ახალი ქართლის“ ერთ-ერთ კორესპონდენტსავე, როდესაც ერთი ამბით აგვიწერს ხაშურში საგიმნაზიო შენობის საძირკველის კურთხევას! ეს ამბავიო, - გვეუბნება იგი, - ოქროს ასოებით უნდა აღინიშნოს ჩვენი კუთხის განათლების ისტორიაშიო! არ ვიცია, ვინ როგორ შეჰხედავს ამ ამბავს, ჩვენ კი ვიტყვით, რომ ეს ამბავი არა თუ „ოქროს ასოებით“, არ არის აღსანიშნავი, არამედ შავი და მწუხრი ფერადებით უნდა დაიწეროს, როგორც ჩვენი გულუბრყვილობისა, შეუგნებლობის და, თუ გნებავთ, ეროვნული უბედურობის, ჩვენი უბადრუკობისა, გადაგვარებისა და დაუძღურების სიმბოლოა!.. ნეტავ რას ვეგებებით ალტაცებით, ნუ თუ იმას, რომ ახალი გზა აღმოგვიჩნდა მოხელეობისა და გადგენიერებისა? ნუ თუ ბევრად არა სჯობდა მის ადგილს უბრალო სახელოსნო ან საბაღოსნო სასწავლებელი გაეხსნათ?!

არა, ქართველ ხალხს მეტად მძიმე და აუტანელი პირობები შეგვექნა ცხოვრებასთან საბრძოლველად. ჩვენ ვერც კი შეგვიგნია და არა თუ შეგვიგნია, ვერც კი გაგვითვალისწინებია ჩვენი ეროვნული უბედურობა, ჩვენი მდგომარეობის საშინელება. მთელი ერი თითქოს პირღია უფსკრულისაკენ მიექანება, ჩვენ მოსეირედ გადმოვმდგარვართ და ხელის კვრით ვაქებებთ, ყუყინას ვცემთ, რა არის უფრო მალე ჩავორდეს და დაიმხსვრეს მისი სახება!

ქართლელი.

## მომხმარებელი საზოგადოება „მეურნე“

ამ ორი წლის წინად პატარა ჯგუფის ინიციატივით გაიმართა ლაპარაკი მომხმარებელ საზოგადოების დაარსებაზედ, რომელსაც მიზნად უნდა ჰქონოდა ერთის მხრით დაკმაყოფილება თავისი წევრებისა სალი და იაფფასიანი საწოვაგით და მეორე მხრით დახმარების გაწევა იმ სასოფლო მომხმარებელ კოოპერატივებისათვის, რომელნიც იძულებულნი არიან კერძო და წვრილ ვაჭრებისაგან შეიძინონ ყველაფერი და ამგვარად ასწიონ მომხმარებელთა ხარჯები. უკანასკნელი მოსახრება უფრო რეალურ საფუძველს პოულობდა იმ გამუდმებულ თხოვნებში, რომლითაც სოფლის კოოპერატივები მიმართავდნენ ქალაქში მცხოვრებ ინტელიგენტებს — დახმარება გაგვიწიეთ და საქონელის შოვნა გაგვიადვილეთ როგორმეო.

რამდენიმე კერძო თათბირის შემდეგ, ინიციატორთა ჯგუფმა მიმართა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მოახსენა მიზანი და სთხოვა დახმარება. საზოგადოების საბჭომ განსახილველად გადასცა საკითხი თავის საკოოპერაციო სექციას, რომელიც დიდის თანაგრძნობით და სიმპატიით შეეგება ამ საქმეს. გამხმევებულმა ინიციატორებმა

დაიწყეს მოქმედება, წევრების და ფულის მოგროვება და აღძრეს შუამდგომლობა წესდების დასამტკიცებლად. ქართველი საზოგადოება პირველ ხანებში დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმეს, მაგრამ მალე გაცხოველდა ინტერესი დიდი ბანკის დაარსებისა, რამაც შესამჩნევად შეასუსტა ინტერესი ამ „პატარა“ საქმისათვის. ინიციატორებმა მაინც დაამტკიცებინეს წესდება სათანადო მმართველობას და შარშან მაინც მიიღეს ნებართვა. ფული და წევრები მძიმედ გროვდებოდნენ, თუნცა ზეპირი თანაგრძნობა არა ნაკლები იყო წინანდელზედ. შარშან მაისში მოწვეული უნდა ყოფილიყო დამფუძნებელი კრებაც, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზმა შეუშალა ხელი შემდეგ ხომ ომიც დაიწყო, რომელმაც შთანთქათავისი სიდიადით ყველა წვრილმალნი საქმე და საკითხი.

ასეთია მოკლედ ისტორია საზოგადოებისა, რომელსაც სახელად „მეურნე“ დაერქვა.

უკანასკნელი დროის სიძვირემ, ვაჭრების გაუმადლარმა და აულაგმელმა თვითნებობამ ხელახლა გააღვიძა ინტერესი კოოპერატიული მოძრაობისადმი. მომხმარებელთა სხვა და სხვა ჯგუფები ერთდებიან და იკვლევენ მიზეზებს სიძვირისას, ეძებენ საშუალებათ. ამ სიძვირის დახსნისაგან სხვათაშორის სამართლიანად ამყარებენ იმედს კოოპერატივებზედ.

კოოპერაციის საკითხი დიდმნიშვნელოვანი ხდება რუსეთშიაც და ჩვენშიაც, ამაზედ აღაპარაკდა პრესა, ქალაქის თვითმმართველობანი და საზოგადოებაც. აუტანელი სიძვირე და ვაჭრების სპეკულიაცია საერთო კრიზისს აორკეცებს და ყველაზედ მეტად კისერზედ აწვება ღარიბ ხალხს, როგორც ქალაქსა ისე სოფელში. ამ საერთო მდგომარეობამ გამოაფხიზლა ინტერესი კერძო კოოპერატივებისადმი და „მეურნესაც“ დაეტყო გამოკოცხლება.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მოსდის მრავალი შეკითხვა პირადი თუ წერილობითი თხოვნები, რომ დაარსდეს რაიმე ბიურო ან ცენტრალური საწყობი — საფაქრო, საიდანაც შეეძლებოდეთ სოფლის კოოპერატივებს სარგებლობა. თვით თბილისელ მოსახლეთათვისაც გაძნელებულია დღეს-დღეისობით სალი და იაფი სახოვავის, ან სხვა, ოჯახში სახმარი საგნების შოვნა. ომმა ყველაფერი გააძვირა, არც დარია და შიგნის საშუალება გაძნელება. ამიტომ აუცილებლად საჭიროა საზოგადოებრივი ინიციატივა, შეკავშირება საერთო გაჭირვებასთან ერთად საბრძოლველად; საჭიროა ერთად

გამონახვა იმ საშუალებათა, რომელნიც მკოოდში მაინც შეამცირებენ სიძვირეს ჯერ ერთი და თანდათან კი გაფართოებულ საზოგადოებისათვის.

ამ მხრივ საინტერესო და დაფინანსების ღირსია საზოგადოება „მეურნის“ მოქმედების განახლება. ამიტომ, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღევანდელი დამფუძნებელი კრება „მეურნის“ მიზიდავს ქართველი საზოგადოების ყურადღებას და თვალსაჩინო ნაბიჯს გადაადგმენებს თვით საქმის განხორციელებაში, ვინაიდან წინასწარი საქმის შესწავლა და საკითხის განსილვა უკვე რამდენჯერმე მომხდარია. იმედია რომ კრება ამოიჩვენებს სათანადო პირებს და ერთის მხრით თუ დაავალებს საქმის ერთგულებას, მეორე მხრით გამოუძებნის საშუალებას საქმის წარმოებისას.

რ. გ.



გერმანულ ყუმბარებისაგან ამოთხრილ ორმოში.

# კ ა მ ი ლ ა კ კ ა

(მატარა ამბავი) \*

I

— ჩამო ქალო, შინა ხარ? — მოდი ერთი ვე-  
ამბორო მაგ შენს თურაშაულ ლოყებს..

— დაიცა, ღვდღლო, სირცხვილია!.. რო და-  
გვინახოს ვინმეც, რას იტყვიან?!

— რა უნდა თქვან!.. კმარი ცოლსა ჰკოცნი-  
სო სხვა რა უნდა თქვას? რა უკანონობას შე ჩავ  
დივარ!

— უკანონობას კი არ ჰჩადიხარ, მაგრამ რა-  
და დროს ჩვენი კოცნა-ხვევნა არის, დაგებრდით!  
ალარ შეგვშვენის.

— რატომაც არ შეგვშვენის, რაო? კიდევაც  
ვჯობივარ ახლანდელ ჯიელებს! რაშიაც უნდა გა-  
მეჯობონენ: თუნდ გაქცევაში, თუნდ ჭიდაობაში,  
თუნდ წაკითხვაში, თუნდ ანდერძის აგებაში!.. თუნდ  
კიდევ შვილების..

— ტყუილია მაგ დალოცვილი ნუნუასთანა  
უნოსაც ენას ამოადგმევენებს და გახატულის შერ-  
ცხალივით ააჭიკტიკებს,

— რატომაც არ ვიჭიკტიკებ! ღმერთმა იაშე-  
ნოთ იმათი ოჯახი: კარგი გვაჭამეს, კაი გვასვენს,  
სამი მანეთი წინ გასამძლოლი ჯიბეში ჩამიდეს და  
გამომისტუმრეს.. შენ ხომ არაფერი დაგიღვევა  
დღეს რას დამენადღევები, შენ ჩემზე უარესად  
აგაჭიკტიკო, ისეთი რამ შეგატყობინო.

— შე ვერაფრით ვერ ამაჭიკტიკებ!

— მაშ მაიტა ხელი!..

— დაიცა, კარგი! მართლა და არავინ დაგვი-  
ნახოს, სირცხვილია.

— შენ თვითონ შენი ნებით ნამიშვერ მაგ  
ფუნთუშა ლოყებს, თუ შეგატყობინებ იმ ამბავს,  
რამაც ასე აატოკა ჩემი გული სიხარულით და ამა-  
ჭიკტიკა. მაგრამ მანამდის არ დავიღლები შენი კო-  
ცნით, არაფერს გეტყვი.

— შენი ნება არის, ნურაფერს შეტყვი; მხო-

\*) ეს მატარა ამბავი ავტორის დამოუკიდებელ მი-  
ზეხებას გამო შემაჯავებთ იუა დაბეჭდილია გოგინია  
შვილის მიერ განახლებულ „ავტორიაში“. რაკიდა ამბავის  
ინტერესი სადღეისოთაც ცხველებს, ვსუქდავთ ხელახლად  
სრულად, შეუმაჯავებდი.

რედ.

ლოდ ერთხელა და ორჯერ არ დაგვიცდია, რომ  
მაგისტანა აღტაცებით სიხარულს უბრუნოდ სამწუ-  
ხარო რამ მოჰყოლია. არ ვიცო, რაქნა სასიხარუ-  
ლო, მაგრამ მე კი გულში მეშინიან.

— ტყუილად გეშინიან, <sup>ქვეყნის</sup> ჩემო.. აბა  
რა გითხრა, ჩემო სულის კოლოფო! ხომ იცი, რო-  
გორ კოლოფში საუნჯე რამ ჩასდო და დაჭკეტო,  
სწორედ ისეა შენში ჩემი სული ჩაკეტილი-ჩაბეჭ-  
დილი.

— კარგი, მეყოფა მაგოდენა თავის მოქონვა  
და აღერსი!

— რის თავის მოქონვა! შე ეხლა ისეთ მდგო-  
მარეობაში ვიმყოფები, შესაძლებელი, რომ იყოს,  
ხელს მოვკიდებდი, ამოვიძრობდით ჩემ სულს და  
ფერხთა ქვეშ დაგიფენდი.

— ჰო, კარგი, მჯერა ყველავერი!.. მითხარი  
ახლა, რაც სათქმელი გაქვს.

— აბა, მოიტა, ჯერ დავიღლო შენი კოც-  
ნით!..

— კმარა, ღვდღლო!.. სირცხვილია!..

— აი ეხლა გეტყვი! დღეს ბლალოჩინმა გამი-  
შეღაფნა, რომ კამილაგვაზე წარგადგინო.

— მართლა?... ოჰ, მადლობა შენთვის, ღმერ-  
თო! ძლივს არ ეღირსა ჩემი კურები ამ სასია-  
მოვნო ამბის გაგონებას!.. როდის იქნება, ერთი  
თვალთაც ვნახო!

— ჰო, ეგ კარგი, ბლალოჩინმა წარადგინა.  
მერე იქ იქიდანაც წარგადგენენ? საქმე იქ არის!

— კიდევ ეგ მიხარია, რომ იქიდანაც წასუ-  
ლია წარდგენა. ეხლა წინ აღარაფერი უდგია—გე-  
რმის ემ დროს კამილაგვიანი მღვდელი გეყოლები.

— თუ ჩემებრივ ეკოლინებოდათ შენს უფრო-  
სებს, კამილაგვა კი არა—ეხლა დიდი ხნის დეკანო-  
ზიც უნდა იყო!

— სად არის კითხული და სამართალი, ჩემო  
კოკობო ვარდო! ოცდა ხუთი წელიწადია მღვდლა-  
და ვარ და ამ ხნის განმავლობაში ბედნიკისა და  
სკუფიის მეტი არაფერი ჯიღდო არა მაქვს-რა მა-  
შინ, როდესაც ჩემს ნაამხანაგარებს გული ორდე-  
ნებით აქვთ სავსე. დიდი უსამართლობა და უცოდო  
მადლობა ტრიალებს ჩვენს უწყებაში! მე კიდევ  
რა მიჭირს! რამდენი არის ჩემზე უფრო დიდი ხნის  
ნამსახური, რომ ჯერ სკუფიაც არა აქვთ!

— შენ სხვა ხარ! როგორც შენ ასრულებ  
საღმართო წესებს; როგორც შენ ერდგულად ლო-  
ცულობ ხელმწიფისა და ქვეყნისათვის, რომელი  
მღვდელი ან დეკანოზი მოიძიქმედებს ამას!

— განა ტყუილს ამობრა! რითა მჯობია ის ჩემი ნაამხანაგრები, ან სხვები, ვისაც გული ორცუნებით აქვთ საესე? ვერც ცოდნით და ვერც მთავრობისადმი ერდგულობაში ისინი წინ ვერ წამივლენ! მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მთავრობის თვალ-წინ არიან; თავიანთ მოქმედებას თვალთ აჩვენებენ მთავრობას და კიდევ იღებენ ჯილდოებს. მე კი აბა როგორ დავანახვო აქედამ ჩემი ერთგულობა! აქ შუამავლად, ავისა და კარგის გადამცემი მთავრობისადმი ბლალოჩინი უნდა იყოს. მაგრამ ბლალოჩინიც იმასაც უნდა იცოდეს, რომ იმაზე დაწინაურებული არავინ იყოს მის საბლალოჩინოში; თვის მეტოქედ არავინ გაჰხადოს მთავრობის თვალში; და თუ კარგს რასმე ჰედავს სხვაში, ან გაჩუმებულია და არ აცნობებს მთავრობას, ან თეთრს შავათ აჩვენებს. ეხლაც მიკვირს, როგორ წარმადგინა. მაგრამ, მგონია, სვინიდისმა შეაწუხა.

— ეხლა კი მაინც ნამდვილია? როგორღაც მეუპირულება!

— არა ეხლა წინ აღარაფერი უდგა. ისე მეგულება ეგ საქმე, რომ თითქო თავზე მეხუროს კამილაკა.

— ღმერთო შენ გადმოგვხედე კეთილის თვალთ! ხო რა გაჭირებში ვართ; როგორ გვემსიშება სამ სამი შვილის შენახვა ჩვენს ხარჯზე, — მაგრამ სამი შვილი რომ ერთად მიეღოთ სახელმწიფო ხარჯზე, ისე არ გამიხარდებოდა, როგორც მაგ ამბავმა გამახარა.

— მაშ, უანბოდ დაგიკოცნიდი მაგ ფუნთუშა ლოყებს?

— ძლიერ გული მტკიოდა, რომ დაჩაგრული იყავი. გუშინდელ გამოსულ ნაწირავებს კამილაკები წამოუკუცებიანთ თავზე და ჩაპოუკანკურებიანთ გულზე ოქროს ჯვრები, შენ კი, ამდენი ხნის ერთგულად ნამსახურს, კამილაკაც არა გქონდათ.

— ღმერთი მოწყალეა. აქამდის ჭირდა საქმე, თორემ ახლა, რაკი კამილაკას მივიღებ და პატივი და ღირსება მომემატება, ადვილად შესაძლებელია მთავრობასთან დაახლოვება ახ, რა, დავაშავე, რომ პირველადვე სოფელში გამოვიჭერი და ქალაქში არ დავრჩი რომელსამე ეკლესიაში შედავითნის ადგილზედ. აქამდის კი „პრიხოდსაც“ ჩავიგდებდი ხელში და დიდი ხნის დეკანოზიც ვიქნებოდი. მაგრამ არა უშავს რა, არც ახლა არის დაგვიანებული — უნდა ვეცადო ვინმე, მთავრობისთან დაახლოვებული კაცი მოვიპოვო, დავიმეგობრო, მაშინ აღარა-

ფერი გაჭირდება. მაშინ პირდაპირ იქილამ უბრძანებენ ბლალოჩინს — წარმადგინოს შემდეგ ჯილდოზე. აბა ნუ იკადრებს და ნუ წარმადგენს მაშინ!..

ისე მუსაიფობდნენ მღვდელი მამა იოსები (გვარი დამავიწყდა, ენაზედ მადგა და ველარ კი მაშვიგონია) და მისი მეუღლე ფოფო დია ნინო.

II

ტკბილ მუსაიფს მალე ტკბილი ძილიც მოჰყვა.. რა დიდად ისიამოვნებდა ფოფო დია ნინო, რომ შეძლებოდა ეცქირა მძინარე მეუღლისათვის! წამდაუწუმ მამა იოსებს ეხატებოდა ტუჩებზე სიამოვნების ღიმილი; ღიმილს ხანდახან მოსდევდა ზმუკუნად გადაქცეული სიცილი. ყველა ეს იყო გამოწვეული სასიამოვნო სიზმრით, რომელსაც ჰსჭვრეტდა მამა იოსები თვალების მოხუჭვის უმაღლესე.

სიზმარი აღბად დიდხანს გაგრძელდა, რადგანაც, რაც ესიზრმა მამა იოსებს, იმის ცხადივ შესრულებას დიდი დრო უნდოდა. ხოლო ბოლოს და ბოლოს ტუჩების ღიმილი წარბებისა და პირისახის ქმუნვად შეეცვალა, სიცილის ზმუკუნი — შფოთვად, და იმდენი იშფოთა, რომ სულ ოფელში გაიწურა. დასასრულ, როგორც იყო, მოიკრიბა ძალ-ღონე და ისე დაიყვირა: „თქვე შეჩვენებულბო, რაზედ დამლუპეთო!“ რომ ფოფო დია ნინო შიშისაგან ფეხზე წამოვარდა და დააქყიტა თვალები. მამა იოსები ძალზედ ქშინავდა, ხოლო ფოფო დია დიდხანს უგუნურად იცქირებოდა. ძლივს ძლიობით მოვიდა გონზე და მიჰმართა მეუღლეს:

- რა იყო, მღვდელო, რა მოგივიდა?
- ოჰ, ოჰ, ოჰ... დამაცადე, ერთი.. ოჰ, გმადლობ, შენ, უფალო, რომ სიზმარი იყო და არა სინამდვილე!
- რა ჰნახე, შენი ჭირიმე, რა იყო?!
- რაღა რა ვნახე!.. თუმცა სიზმარი იყო, მაგრამ მაინც საშინელობა რამ ვნახე.
- გული დაიმშვიდე, გენაცვა, და მიაშბე ერთი, რა ჰნახე!
- ვითომც მამსვლოდა კამილაკა, — ბლალოჩინმა შემატყობინა მოწერილობით. წავედი ქალაქში, შევაკერიე თერთმეტ მანეთად მშვენიერი, შეინდიფერის ხავერდის კამილაკა და წარუდექი ამ კამილაკით ექსარხოსს, მისი ლოცვა-კურთხევის მისაღებად. მიმიღო მეტის-მეტად წყალობის თვალთ. მკითხა; რატომ დაუგვიანებიათ შენთვის

ჯილდოების მოცემით მე შემომესმა შენზე, ძლიერ კეთილ-საიმედო მოძღვარი მყოფი ხარო. შენისთანა კეთილ-საიმედო პირები ყოველთვის თავთავის დროზედ უნდა იღებდნენ ჯილდოებს რომ უფრო წახალისდნენ და ერთგულნი იყვნენ მთავრობისა და ეკლესიისა. შიბობა ლოცვა-კურთხევა და გამამისტურმა. ჩემზედ კაი აზრები ჩაგონებინა იმ დაახლოვებულ პირს, ვისაც, ვითომც, მე დაუახლოვდი—გაფიხადე მეგობრად, კეთილის მყოფელად. მოვედი შინ. დავიხურე კამილაჟა და გეჩვენე: მაძილოცე და მითხარი: „რა ძლიერ გიბდებო“. მილოცავდნენ სხვებიც მტრებიც და მოკეთენიც. არ გამოსულა ბევრი დრო, ჯერ ეკლესიაშიც კი არა მხურებია კამილაჟა, წამოწოლილი ვარ დერეფანში მუთაქაზედ, ვნახოთ, ჩვენმა ბავშვებმა მორთეს ყვირილი: მამაჩვენს რა ლამაზი ჩანახი უყიდნიაო. გამაარბენინეს შინიდან კამილაჟა, ეცნენ ეზოში აგროვილ ქვიშას, დაუწყეს კამილაჟით აწყვა. შინდა გაუჯავრდე, დაუყვირო, ხმა ვერ ამომიღია! ისე გახადეს ის მშვენიერი კამილაჟა, რომ სულ გაასაძაგლეს! ესეც როდი აკ

მარეს. გამოსტრეს ცა—ძარი: რა კაი გორგოქელა არისო და დაუწყეს გორება, უძირო კამილაჟა კი მარგილზედ ჩამოაცვეს. ვწუხ, ვტოკავ, შინდა აედგე და ბრაზ-მორეულმა ყველანაირი მარგილებზე ჩამოვაკვა ისევე, როგორც იმათა კამილაჟა, მაგრან ადგილიდან ვერ დავეძრულოვარ. იცი რა ტანჯვაში და ვაი ვაგლახში ვიყავ! გმადლობ, შენ, შემოქმედო, რომ სიზმარი იყო და არა სინ-მდვილე!


— უი მე!.. ნეტავი გამაქროს ეგ როდი არის კაი სიზმარი!

— ე კამილაჟას ხომ ვეღარ გამიბრუნებენ და სხვა, რაც ენებოს ღმერთს, ის იყოს ჩემ თავს.

— მეც კამილაჟაზე შეშინიან, თორემ სხვა რისი უნდა შეშინოდეს!

არა, კამილაჟა. როცა ბლადოჩინი გამოტყდა და მითხრა, რომ იქილამაც წავიდა უწმინდეს სინოდშიო, ვითომც ხელში მჭერია...

გათენებამდის თვალი აღარ მოუხუჭავთ არც ქმარსა და არც ცოლს. გააბეს ლაპარაკი სხვა-და-სხვა შანაურ საქმეებზედ, მაგრამ ხშირად ისევ კამილაჟა ხდებოდა ლაპარაკის საგნად. მათი ნალა-



ჩვეულებრივი ყუმბარები და აუფეთქებელი „ჩამადანი“ გერმანელებისა ერთ-ერთ რფან-გულ ქალაქის მოედანზე.




გერმანელებისაგან გამოგონებული მანქანა მტრისათვის ცეცხლის სითხის შესასხმელად.

პარაკევი რომ სავსებით აიწეროს, ამბავი ვრცელი და მოსაწყენი გამოვა. ხოლო, რაც კამილაკაზე ჩაურთეს ლაპარაკში, იმას კი მოგახსენებთ საზოგადოდ. ლაპარაკობდნენ იმაზე თუ სად და რა ფერი ხავერდისა უნდა შეიკერილიყო კამილაკა, ერთხმად გადაწყვიტეს, რომ არ შეიკეროს იგი იმ ფერისა, რა ფერსაც შამა იოსებმა ნახა სიზმარში... ჩამოთვალეს ისინიც, ვისაც უამებოდა ან ეწყინებოდა შამა იოსების კამილაკით დაჯილდოება. მხოლოდ, როგორც იმათი ანგარიშიდან გამოდიოდა, თითქმის არავის უამებოდა ასეთი დაწინაურება მისი.

III

სიზმარში მიღებული შემადრწუნებელი შთაბეჭდილება სრულიად გაუქარწყლა და დაავიწყა შამა იოსებს ლაპარაკში გართობამ: ცოლიცა და ქმარიც ძლიერ კაი გუნებაზე აბრძანდნენ ქვეშაგებიდან. შამა იოსებს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ცხადლივაც შესაძლებელი იყო რაიმე უსიამოვნების ნახვა და გამოცდა. სწორედ ამ მოულოდნელობის ბრალი იყო, რომ უკიდურესს აღშფოთებამდის მიღწივს ცოლმაცა და ქმარმაც, როდესაც სინამდვილითაც დაატყდათ მათ თავზე უსიამოვნება.

სადილს ემზადებოდნენ. საზოგადოდ შამა იოსებს არ უყვარდა და ძლიერ იშვიათადაც სადილს ემზობდა შინ. მომეტებულ ნაწილად, რაიმე წესის შესრულების შემდეგ, ანუ უამისოდაც, ვისთანმე შეექცეოდა. ამნაირ შექცევას უფრო სასიამოვნოდ და სასარგებლოდ სთვლიდა, ვიდრე შინ პურის მირთმევას. ამ დღეს კი სულითა და გულით ნატრობდა, არაფერი გამოვარდნოდა ისეთ—არავის მიეწვია რაიმე წესის შესასრულებლად. დღეს სურდა უთუოდ შექცეოდა სადილს თავისს ნინოსთან მუსაიდში. ნინოც, რასაკვირველია, შეუდგა ნოციერი სადილის თადარიგს. ემზადებოდნენ სადილის მირთმევას. სწორედ ამ დროს მოველინათ, სრულიად მოულოდნელად, თვისი ქალიშვილი ლიზა, მოწაფე ტფილისის საეპარქიო სასწავლებლისა. მისი უდროვოდ მოსვლა სახლში როგორღაც ეუპირუსია მშობლებს. ბილეთის საშუალებით და



მიბაძვა ტროიელებისა: ხის ცხენების მუცელში გერმანელები ინახავენ სამხედრო და სამკურნალო სურსათს.

თვით ლიზას ნალაპარაკევიდან შეიტყეს, რომ მოსწავლეს ქალებმა „ბუნტი“ მოახდინეს და მთავრობამ დაითხოვა ისინი სახლებში წასასვლელად ახალ განკარგულებამდე.

— ვაიმე, კამილაკავ და თავო დაღუპულიო!.. წამოიძახა შამა იოსებმა ხელების ერთი ერთმანეთის შემოკვრით და სასოწარკვეთილებით, როცა შეიტყო, რაშიაც იყო ჩაქმე. — ეხლა ხომ ცუდად შემნიშნა მთავრობამ, შენ გამოისობით, შე ღვთისაგან შეჩვენებულო და წყეულო! ხომ აღარ მომცემენ ეხლა კამილაკას! რაზე გამაშავე უფროსობის თვალში, შე იუდის კერძო, და დამიკარგე კამილაკა!

— მე რა გიყავი რავექნა?!

— ის მიყავი, რომ კამილაკა დამიკარგე, კამილაკა! გესმის, თუ არა. შე შეჩვენებულო! ძლივს გავაბედინე, წარვადგენინე თავი: რეები არ ჩავიდინე, რომ ჩემი შემესრულებინა და შენ კი შენის ქცევითა და მოქმედებით ცეცხლზედ წყალი დამისხი!

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქო მთელი ის საქმეები, რაც მოჰხდა სასწავლებელში, მარტო მე ჩამედინოს, ან მოთავედ მე ვყოფილიყო? მთელი მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას საქმეში და მე როგორ ჩამოვრჩენილიყავ სხვას?

— რატომაც ვერ ჩამოვრჩებოდი, შე წყულო, თუ შენ კეთილი სული გიდგია და ადამიანობისა გცხია რამე.. რომ არსად გამოგონია ამისთანა ღვთის წყრომა და უბედურება საქრისტიანოს შესარცხვენად, ეს პირველი მაგალითი უნდა იყოს ქვეყანანაზედ, რომ ლაწირაკმა გომბიოებმა მაგისტანა უწესოება და უღმერთო საქმე ჩაიდინონ!

— ჯერ გაიგე მიზეზი, რა გამოიწვია ჩვენი „უწესოება“ და მერე თუნდ უღმერთო დაუძახე, თუნდ სხვა რამე.

— გავიგო, მე ვიცი, ქეთევან დედოფლისებურ მოწამეობის გვირგვინს დაიმსახურებთ, თქვენი ღვაწლით თქვენ ნუ მომიკვდებით!

— აბა სწორედ ჩვენ გვეკუთნის იმისთანავე მოწამეობის გვირგვინი და უფრო უდიდესიც: ჩვენ არა ნაკლებ ქეთევანისა ვიტანჯებით, და ვიტანჯებით არა მაჰმადიანთაგან, არამედ მათგან, ვისაც მიაჩნია თავისი თავი ქრისტიანობის უპირველესს და ნამდვილ წარმომადგენლად!

— გაკმინდე ხმა, შე შეჩვენებულო!.. მომეტებულად ნუ მალეღვებ, თორემ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან!

— რისთვის უნდა გაკმინდო ხმა? რასაცა ვგრძნობ, იმის თქმას ვერაფერ დაძინდის! სასწავლებლად კი არა, სატანჯველად მიგყევართ მშობლებს იმასთანა სასწავლებელში, სადაც ჯალათები გვადგანან ყოველ წუთში თავს, გვატანენ ძალას ვილოცოთ და ვევედრნეთ ღმერთს უცხო, გაუგებარ ენაზე; სულსა და გულს კი არაფერიცხობა ლოცვის— მხოლოდ ამისთანა მოქმედებით იქამდის მივყევართ, რომ სულითა და გულით გვამძულებენ ღმერთსაც და სარწმუნოებასაც. სადაც ჩავგჩინებენ ყოველ წუთს, რომ მარხვის ჭამა ცოდვა არისო, თვით ამისი ჩამგონებელნი ჩვენს თვალწინ, აქავე, ჩვენს სუფრაზედ შეექცვიან კატლეტებს და ბივშტეტებს; ჩვენ კი ამავე დროს ლობიოთი და ზეთით გვხეთქავენ; სადაც ხმა ვერ ამოგვიღია ჩვენ სამშობლო ენაზე ისე, რომ არ დაგვიყვირონ: „ძალდის ენაზე ნუ ლაპარაკობთო“. მანამ სასწავლებელში წავიდოდი, ღმერთიც მიყვარდა და მარხვის გატებაც ცოდვად მიმიჩნდა; ეხლა კი აღარც ღმერთი მწამს და აღარც მარხვა მი-

მაჩნია რმდმე. ქრისტიანობის წარმომადგენელი— ჩვენი აღმზრდელი ხომ ისე მძულან, როგორც შავი ქირი!

— შე ღვთის პირისაგან წყულო და შეჩვენებულო, როგორა ჰბედავ ენის დატოვებას ან ღვთის შესახებ, ან შენს უფროსებზე! ვინ მოგცა შენ უფლება განსაგო მოქმედება უფროსებისა?..

— ეგე, ღვდელო, გენიშნა, თუ არა ჩემი სიტყვები? აკი გეუბნებოდი, რომ არ არის საჭირო მაგისი სასწავლებელში გაგზავნა-მეთქი. რა გინდოდა, მუხლის ძირას მჯდომოდა და რაც ცხოვრებისათვის საჭირო და გამოსადეგი იყო მესწავლებინა! რა შევქვად ვაქნევდი მაგის სწავლას! იმოდენა ფული ფულად დაიღუბა, უწინ დღე გამიქრეს—ამას უნდა გაუქრეს ამ უნამუსოს—შენც რომ გვენოს რამე—კამილაკა აღარ მოგვცენ, ხომ ელდამ გამათავა! არა, მე რომ სასწავლებელში არ მისწავლია, ვერ დაგზარდე ამოდენა შეიღებო!

— თუ ასე მეცოდინებოდა, მე მოუხერხებდი მაგას! ახ, მართლა და რატომ არ დაგიჯერე და შექათმეთ და შებატედ არ გავზარდე! კაი მამა მაშინ ვიქნებოდი.

— მე შექათმობა და შებატეობა მერჩივნა გონებითა და ზნეობით დამახინჯებას!

— ეს სახელ გასაწყვეტი რეებს მიედ-მოედება?.. რატო მუცელში არ გამიწყალდი, შეილო, რომ აგვეცილებოდა ეს უბედურება და შეწუხება!

— ახ, რომ არ ვარგნან თქვენი უფროსების უნდა დაეწვინეთ სათითაოდ და როზგით სისხლი ნაკადული გამოედინათ თქვენი... აი მაშინ იყო კარგი! თორემ დაგარიგეს სახლებში დედ-მამის შესაწუხებლად... მე უნდა ვყოფილიყავი თქვენი უფროსი, რომ სულ სათითაოდ მეთრივენით კიწიწებით, მანამ სულები ამოგვძვრებოდათ!

— განა არ შეგიძლიან ჩემზედა სცადო? ქრისტიანობის პირველი ხანებში არ იყო, რომ მშობლები თვითონ ჰხოცავდნენ თავის უმწეო ქრისტიან შვილებს, რათა მოეგოთ გული თვისი წარმართი მეფისა და რაიმე ჯილდო მიეღოთ მისგან. შენც ასე: მოიგე გული მთავრობისა, რადგანაც გეშინია, რომ კამილაკას აღარ მოგცემენ.

— ჩაკმინდე ხმა, შე სახელ გასაწყვეტო!.. და აქ კი ველარ შეიკავა თავი ფოფოღია ნინომ: მივარდა ქალს, სტაცა ნაწნავში ხელი და დაუწყო უდიერად ცემა.

IV

დიდი საგონებელში ჩავარდა მამა იოსები. იმე-  
დი კამილაგის მიღებაზე ხან უღიმოდა, როცა  
წარმოიდგენდა, რომ სია ჯილდოებისა უკვე გაგ-  
ზავნილი იყო სინოდში, ხან უცრუვდებოდა იმ  
ფიქრის გამო, რომ ვაი თუ უწმინდეს სინოდში  
დამატებითი ქალიღდი გაგზავნონ და ამოაშლევინ-  
ონ სიიდან, რადგანაც მისმა ქალიშვილმა მიიღო  
მონაწილეობა „ბუნტში“. ხოლო უფრო იმედი-  
ანობდა, ვიდრე უიმედობდა...

ეს ამბავი უკვე დამზადებული მქონდა და ვა-  
პირებდი გამეზიარებინა იგი მკითხველთათვის, რა-  
თა თანაგრძნობა გამომეწვია მათში შვილის მიერ  
შეურაცხყოფილი მშობლებისადმი, როცა გავიგე,  
რომ მამა იოსებისაკენ გაემგზავრა თურმე იმავე  
დანაშაულობისათვის, რისთვისაც ქალიშვილი ღიზა,

მისი ვაჟიშვილი სამსოსონი—მოწაფე ტფილისის  
სასულიერო სემინარიისა.

არ ვიცი როგორ იმოქმედებს მამა იოსებზე და  
მის მუდღელზე ეს მეორე თავს დატყეხილი უბედუ-  
რება, მხოლოდ ერთი რამის შესახებ შეიძლება სი-  
ნამდვილით: მამა იოსები ამ მეორე თავზარ-დამ-  
ცემი ამბის შემდეგ კი დაჰკარგავს სრულიად იმედს  
კამილაგის მიღებაზე. ეს გარემოება ძლიერ სამწუ-  
ხაროგახლავთ და არა მგონია მკითხველთა შორის  
აღმოჩნდეს ისეთი ვინმე გულქვავი, რომ თანაგრძ-  
ნობა არ გამოუცხადოს უღირსი შვილებისაგან  
გამწარებულს და მთავრობის თვალში გაშავებულს  
მშობლებს. ამ ამბის გამოქვეყნების მიზანიც იმაში  
მდგომარეობს, რომ მკითხველებში თანაგრძნობა  
მოვუპოვოთ შვილების მიერ შეურაცხყოფილ მშო-  
ბლებს.

მელანია.



## უზრუნველ ქართველის დღიურიდან

(კვირიდან-კვირამდე)

გასულ კვირას ერთი მაგალითი მოგახსენეთ  
იმისა, თუ რა მოურიდებელი—შინაურული, მამა-  
შვილოური და ნათლიმამური განწყობილება სუფევს  
„ჩვენი“ ქალაქის გამგეობასა და მოსამსახურეთა  
შორის. და, რა თქმა უნდა, არც გაიკვირვებდით,  
ვინაიდან იცით, რომ ქალაქის აღნიშნულ ორგა-  
ნოში „მოღვაწეობენ“ „свои же люди“ —  
...\*)

ბევრი სხვა მაგალითებით რომ თავი არ მოგა-  
ბეზროთ, აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს კიდევ: ქა-  
ლაქის წყალსაყვანის მოსამსახურე არშაკ ისაკი-  
ანცი თურმე ჰყიდულობდა, ქალ გამგეობის მინ-  
დობილობით, „შაბს წყლის დასაწმენდათ, ფუთობით,  
არა უმეტეს 1 მ. 50 კ. — 1 მ. 70 კ. და ქალაქის  
გამგეობაში წარდგენილ ანგარიშებში კი თითო  
ფუთს უსვაბდა 2 მან. 30 კაპ. და ხან მეტსაც (იხ.

გაზ. „ზაკ. რ.“ 12 აპრ. № 68). არ ვიცი მოქა-  
ლაქენი რამდენად მაღლიერნი არიან ბ. ისაკიან-  
ცის მიერ დაწმენდილ წყლით, მაგრამ აზგვარ „ტრო-  
ინოი იტალიანსკი ბუგალტერიით“ რომ ქალაქის  
კასა იწმინდებოდა,—ეს მგონი ყოველ ექვს გარეშე  
უნდა იყოს... მოქალაქეთა ჯიბეებმა ინალფლონ,  
თორემ განათლებული ისაკიანცი დარწმუნებუ-  
ლია, რომ იქ, რუსები რომ იტყვიან: „свои лю-  
ди и считают!..“

სულ სხვაგვარი „განათლება“ ყოფილა აგრედ-  
ვე ზოგიერთ ჩვენ პროვინციებში. აი, მაგალითად,  
თურმე გოლიათურის ნაბიჯით მიისწრაფიან ზოგი-  
ერთი ზესტაფონელები გადაგვა... განათლების  
გზაზე. დავიჯერო არ მიაქციეთ ყურადღება გაზ.  
„თემის“ 13 აპრილის ნომერში მოთმესებულ ცნო-  
ბას, რომ ზესტაფონის ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოე-  
ბის განყოფილების ინიციატივით გაუმართავთ ხე-  
ლის მოწერა, აკაკის ფონდისათვის ფულის შესაკ-  
რებად და ხელის მომწერთა უმრავლესობა იმდენად  
განათლებულ გაბრწყინვალელებული ყოფილა, რომ  
თვისი, მშობლიური, მაგრამ მაინც „ტუზემნი“, ენა

\*) სადაც კი ვამჩნევ ხელშეკრულს, ეფ-  
ფულოვის ვასწარებს და თუ მისცა არა მცარეა ხელშე-  
კრულში ხელს წყრადგები, ამაზე დაეკუ სანი-  
ფარი უნდა შემაფიტანო ჩვენ თანამშრომელ—სტამბის  
მუშეებზე.

ღარ უკადრიათ და რუსულად აღუნიშნავთ თავი-  
ანთი ვინაობა: Годжаспиръ Тавкариანовъ, Си-  
либистრъ Узრუნველოვъ, Миминосъ Микере-  
ბიანოვъ, Метичаровъ და სხ... ეტყობა, ჩვენ  
ქრელ ცხოვრებას, აუჭრელებია იმათი გონებაც და  
მოკლებულთ ერთგვარ გარკვეულ შეხედულება-  
შეგნებას, აღნიშნულ ზესთა-ფონელებს ველარ უბოვ-  
ნიათ ჯეროვანი ფონი თვისი ეროვნული თავმოკვა-  
რეობისა.

ამ შემთხვევაში ბევრად ჩამორჩენილან თვით  
თბილისის, ვგრედ წოდებული ხარფუხის კლუბის  
წევრთა უმრავლესობა, რომელთაც გასულ კვირას  
საამხანაგო სადილი გაუმართავთ და სადილობის  
დროს, ქრელი ლაბარაკისთვის, ჯარიმაც კი დაუ-  
წესებიათ. იმისდა მიუხედავად, რომ სადილად ოც-  
დაათ კაცამდე მჯდარა და ჯარიმის შემკრებს ბ. ვ.  
ხახანაშვილს ნამდვილი ბოქალური სისასტიკე გა-  
მოუჩენია, წარმოიდგინეთ, ამ ჯარიმიდან სულ ცო-  
ტა ჯამი (ფულისა და არა თიხისა) შემდგარა. მარ-  
თალია ბ.ნი ვ. ხახანაშვილი თავს იმითი მართლუ-  
ლობს, რომ ზოგმა, სადილზე დამსწრეთაგანმა,  
ლუკმას ძალა დაატანა და თავის სადღეგრძელოებს  
და სურვილებს მუნჯურად ხატავდაო, მაგრამ, ჩვენ  
უფიქრობთ, რომ ხარფუხის კლუბელნი ვერა ყო-  
ფილან „ჯეროვანად განათლებულნი“; აბა თუნდა  
ტფილისელივე „კარტველი ბარიშნები“ დასწრებო-  
დნენ, თუ რამდენიმე საათში, საგრძნობელი თანხა  
არ შეკრებილიყო.

საგრძნობელი თანხის შეკრება კი, უსამართ-  
ლოდ და სასტიკად დასჯილ ჩვენ თანამემამულე  
საბრალო აქარელებისთვის, ჩვენს გონებრივ სიმწი-  
ფეზეა დამოკიდებული და უდიდეს ზნეობრივ მოვ-  
ლენასაც შეადგენს. ძალიან გვიხარის, რომ ჩვენი,  
უმისოთაც ათასგვარ უქმურ ცხოვრების პირობე-  
ბით შევიწროებული ხალხი, შემღებისა დაგვარად  
ამოდენ თანაგრძნობას იჩენს. მოგეხსენებათ, რომ  
ასეთ შემთხვევაში დიდი როლი შეუძლია ითამა-  
შოს სოფლის ინტელიგენციამ და, განსაკუთრებით,  
სოფლის მასწავლებლებმა და მღვდლებმა. რა კარგი  
იქმნებოდა, რომ მაგ. უკანასკნელნი, სომხების  
მღვდლების—უნარს თუ ვერ გამოიჩინდნენ, მიჰბა-  
ძებდნენ მაინც პატივცემულ მოძღვართ—თალაკვა-  
ძეს და ცინცაძეს დღესასწაულებში, წირვა-ლოცვის  
დროს, თავიანთ მრევლს გაახსენებდნენ მოძმეთა  
უზომო გასაჭირს... მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი

უმრავლესობა ჩვენებურ სულიერ მამათა მგონი  
უფრო იმ აზრისაა, რომ რახან შეკრებაა უფრო  
უბრიანესი იქმნება ჩვენთვისაც დრამის ფული შევ-  
კრიბოთ და „თავის გამოსაჩენადაც“ სტუფია—კამი-  
ლავეკაც საკმარისიაო. ერთი სიტყვით უმრავ-  
ლესობა, როგორც აქაკიმაცა ზრტუაძის

... (კენქსაც კი) უფულოდ არვის აძლევს  
და თუ აძლევს ზოგს—სხვის ჯინზე,  
სინდისს ზუთხში გაგიყიდის,  
სამშობლოს ბედს—თათრის ჩინზე!..

ეს კი ვერ გავიგე, ვის „ჯინზე“ მოქმედობენ,  
ისე თავისებურად, ავლაბრის სახალხო თეატრში  
მოღვაწენი: ამასწინად, სალამოს ხანად, გავლა მო-  
მიხდა ავლაბრისაკენ და შევხვდი ქართველ მუშების  
ერთ ჯგუფს; ზოგს ბალიში ამოეჩარა ილღიაში,  
ზოგს მუთაჟა, ზოგს საბანი და, ერთს კიდევ, მტი-  
რე ზომის ტახტიც კი წამოეკიდა ზურგზე. რომ  
ვკითხე მიზეზი ისეთი აბარგვისა, მითხრეს: ავლაბ-  
რის სახალხო თეატრში წარმოდგენაზე მივდივართო  
და, რადგანაც აქაური წარმოდგენები ლამის 2—3  
საათზე ადრე არ თავდება, ბარემლა დასაძინებლად  
იქვე მოვეწყოებითო...

ვინ იცის მკითხველი გუნებაში კიდევაც დაგ-  
ვცინის, რომ ჩვენი ცხოვრების ასეთ წვრილმან  
„სასაცილო“ ამბებს ვაქცევთ ყურადღებას მაშინ,  
როცა მთელ დედანიწაზე მრავალ ეროვნებათათვის  
ყოფნა არყოფნის საკითხი სწუდება... ნუ, ნუ დაგ-  
ვძრანავთ, მეგობარო მკითხველო, თუ ყველაფრის  
თქმის ვერ ვახერხებთ. მწარე ნალველი გულსა  
გვიდრღნის, მაგრამ ისღა დაგვრჩენია ჩვენი ვაჟის  
სიტყვები გავიმეოროთ.

...გავხედავ აღმოსავლეთსა,  
ამოჩენილა ცისკარი.  
სჩანს რომ თენდება... რისათვის?!  
ვუცქერ ხალხს, ვუცქერ ველებსა.  
დავიჭვითინებ... თვალეზზე  
მყის მივიფარებ ხელებსა...

გ. ახ — ელი.

# ს ა რ ქ ი ს ი ა დ ა

ჰეროსტრატემ რომ ეფესის ტაძარი დასწვა თავის საწადელს მიაღწია და ისტორიას გადასცა თვისი სახელი, ამ საქციელით უკვდავად ქნა ილი. ჩვენმა პაწია ჰეროსტრატე კაკაბაძემ ჯერ მართალია ვერაფერი მოახერხა ასეთი დიდი, მაგრამ პატარ პატარა საქმენი მისნი საგმირონი — ფრიად დამახასიათებელი არიან, მისი ჰეროსტრატეული ფსიხოლოგიისა. ჩვენ ეხლაც არ მივაქცევდით ყურადღებას მის ავადმყოფურ გამოსვლას, როგორც ბევრჯელ სხვა დროსაც არ მიგვიქცევია, რომ უკანასკნელ მის ლექციას შედეგად არ მოჰყოლოდა მართლაც საზოგადოებრივი მნიშვნელობის უზნეო და ულოლოკო მსჯავრი ქალთა კურსების საბჭოსი, რომელსაც არ ეკადრებოდა საბოლიციო უზნის კილოთი ლაპარაკი. პრესამ, რომელმაც დიდი ყურადღება მიაქცია კაკაბაძის ინცინდენტს, რომელიც თავისთავად უმნიშვნელოა, — საუბედუროდ ყური მოიყრუა ამ უფრო მნიშვნელოვან და დასაგმობ ფაქტზედ.

მართლაც აბა მიაქციეთ ყურადღება იმ გარდაწყვეტილებას, რომელიც უცვლელად მოგვყავს:

„Советъ тифлисскихъ высшихъ женскихъ курсовъ. въ засѣданіи своемъ 9 апрѣля сего года, выслушавъ заявленіе С. Н. Какабадзе объ его уходѣ изъ состава преподавателей и ознакомившись съ причинами подобнаго заявленія, при чемъ оказалось, что рѣшеніе С. Н. Какабадзе вызвано письмомъ, появившимся въ № 243 газ. „Сахалхо Пурцели“ за подписью грузинокъ-слушательницъ Т. В. Ж. К., и носѣдовавшимъ за нимъ рядомъ замѣтокъ въ грузинской прессѣ, единогласно постановилъ:

- 1) Убѣдительноше просить С. Н. Какабадзе взять свое заявленіе обратно и продолжать свою полезную дѣятельность на курсахъ.
- 2) Выразить С. Н. Какабадзе сочувствіе по поводу возмутительной попытки группы слушательницъ, покушавшейся на свободу научнаго изслѣдованія, и довѣріе къ его научно-преподавательской дѣятельности и выразить рѣзкое порицаніе группѣ слушательницъ.

ჩვენ უნდა ვაღვიაროთ, რომ სრულებით გაუფებრად მიგვაჩნია ასეთი სისასტიკე „მეცნიერებისა“ და მით უფრო რომ იგი არის აგებული. ჩვენცა და ყველასაცა აქვს წაკით-

ხული „სახალხო ფურცელში“ და სხვაგან მოთავსებული წერილები, მაგრამ არსად ამოგვიკითხავს „возмутительная попытка группы слушательницъ, покушавшейся на свободу научнаго изслѣдованія“.

ქურსების

კურსების გამგეთ ან ქართულნი სწავლებიან, ან არც კი წაუკითხავთ „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული წერილი, ან რაც უფრო სარწმუნოა და მათი დადგენილებიდანაცა სჩანს — ისინი დაემყარნენ თვით კაკაბაძის ნალაპარაკებს, ასეთი მეთოდი გამოძიებისა — სწორედ რომ „მეცნიერულია“.

ს. კაკაბაძემ, თავის საპასუხო წერილში არც ერთი ბრალდება ქალებისა არ უარჰყო და ვერ გაამართლა და რატომ მოახვიეს თავზედ მსმენელებს „покушеіе на свободу научнаго (?) изслѣдованія“ — ეს ღმერთმა უწყის.

ჩვენის ღრმა რწმენით, კურსების გამგენი, რომელიც — ჩვენ დანამდვილებით ვიცით, თვითონ არ იყვნენ კმაყოფილნი ს. კაკაბაძის მოქმედებით კურსებზედ, მეზად მოუფიქრებლად მოიქცნენ და არ გაითვალისწინეს, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდეს მათს სასტიკს და უსამართლო მსჯავრს. ვერც ერთს საუნივერსიტეტო ქალაქში ვერ მოხდებოდა ასეთი ამბავი და მართო პროვინციალურის უბასუხისგებლობით აიხსნება ასეთი „возмутительная попытка“, „рѣзкое порицаніе“ და სხ. — ეს არ ეკადრება უმაღლეს კურსების მეცნიერებს — რომელიც ოლიმპიურის სიმშვიდით უნდა იკვლევდნენ ყოველს საგანსა და არა ტენდენციურად სჯიდნენ საგანს.

ჩვენ ვგმობთ ასეთს შეუსაბამო საქციელს რომელიც მკათიო მაჩვენებელია, თუ რა მეცნიერებთა ნა გვაქვს საქმე ქალთა უმაღლეს კურსებზედ. რაც შეეხება თვით კაკაბაძის ცრუ-მეცნიერობას, ამაზედ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან მართო გულუბრყვილოებს და სჯერათ მისი.

რაე.

## ს ს ვ ა და ს ს ვ ა ა მ ბ ე ბ ი

✱ ხვალ, თრქაბათს, საღამოს სრულ შვიდ საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში გაიმართება ქართულ კულტურის მოუვარულთა საზოგადოების მორიგი კრება. ბ. ივ. ვართაგავა წაკითხავს მოხსენებას:

„აკაკი, როგორც სატირიკოსი“. ესევე კრება გამთარგმნეს ს. კაკაბაძის ინციდენტსაც.

★ **სომხეთის ბედი ოხმალეთში.** როგორც „ჭრიჭონი“, „მშაკი“, „ტიფ. ლისტაკი“, „კაგუ-სლთფა“ გადმოგვცემენ, ამჟამად სომხების მდგომარეობა თსმალეთში შეტად უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილა. მომხდარა შეიარაღებული ჯახეუბა. ათათასი სომეხი იბრძვის. შათ სანადადმდეგოდ თსმალეთს დიდ-დადი ჯარი გამოუყვანიათ ჯემალ ფაშას წინამძღოლობით.

✦ **აფეთქება ოხტინსკის ქარხანაში.**

გაზეთები ძალიან ცოტა ცნობებს გვაძლევენ ამ აფეთქების შესახებ. ამ დღეებში გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში ვკითხულობთ შემდეგს: „მომუშავეთა სიის ხელახლა გადასინჯვის დროს გამოირკვა, რომ „ოხტინსკის საფეთქებელ მასალათა ქარხანაში“ აფეთქების დროს, სიკაფსულთ განყოფილების გარდა, მუშაობდა სულ 272 კაცი. აქედან ბევრი ჭრილობისაგან გარდაიცვალა, ბევრი კიდევ შვედრები იმაყეს 26 კაცი, მათი ვინაობა გამოცნობილია; 51 საავადმყოფოშია; 43 უკვალოდ დაიკარგა, საზოგადოებრივი განყოფილებიდან მოკლულ და ჭრილობისაგან გარდაცვლილთა გარდა საავადმყოფოში ჭყავთ 8 კაცი. 18 მძღარაჟე ჯარისკაცისაგან 11 მოკვდა, ოთხი საავადმყოფოში ჭყავთ. ამ აფეთქებისაგან დაზარალებულთა საზოგადო რიცხვი გამოიხატება შემდეგ ცხრილით: კერძოდ ქარხნის მუშებიდან დაჭრილია 63 კაცი, ამთ გარდა, გარე მომუშავეთაგან 43 კაცი. ყველანი საავადმყოფოში მოაქციეს. დახტცილნი და ჭრილობით გარდაცვალბულნი უდრიან 41 კაცს. უკვალოდ დაიკარგა 43 კაცი. აქედან ოთხი გვაში უკვე აღმოაჩინეს, რომელთა ვინაობა ჯერ ვერ გამოუგვლეჯიათ. სულ 147 კაცი დაღუბული.



# გერმანიის ახალ-შენები აფრიკაში

30 წლის წინად გერმანიამ აღმართა თავისი დროშა აფრიკის ნაპირის ოთხ ადგილას და მით დაიდო საფუძველი გერმანელების მფლობელობისა ამ ხმელეთზე. იმ დროს აფრიკის უმეტესი ნაწილი უკვე განაწილებული იყო ევროპის სხვა სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებით კი საფრანგეთისა და ინგლისის შუა. ეს უკანასკნელი სახელმწიფო უნდობლად მოეპყრო ახალ მეტოქის მოვლენას ამ

მხარეში, მით უმეტეს, რომ გერმანიის ახალშენები ინგლისის სამფლობელოთა მეზობლად მდებარეობდა. ინგლისმა ვაჭრობა დაუწყო მეზობელს და რაც შეიძლებოდა, დაისაკუთრა, მაგრამ მაინც იძულებული გახდა ქედი მოეხარა და მშენებარებინა ახლად მოვლენილი მეზობლობა! საზოგადოდ გერმანიამ აფრიკაში გაჩენისთანავე სწრაფად მოიკიდა ფეხი, რკინის გზებით დაქსელა იქაურობა და ვაჭრობით საქმე იქამდე მიიყვანა, რომ თავის მეტოქენი აიძულა მისთვის ეხლავე თუ არა, ახლო მომავალში მაინც პირველობა დაეთმოთ თუ როგორ ხდებოდა ეს პროცესი, ვეცდებით განვიხილოთ მოკლე მიმოხილვით მაინც.

1 **გერმანიის აღმოსავლეთი აფრიკა.**

გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკას უჭირავს პირველი ადგილი სივრცით, რომელიც უდრის 995,000 ოთხკუთხ კილომეტრს. იგი მდებარეობს ხმელეთის დასავლეთ ნახევარ სფეროში, თითქმის ეკვატორზე, ინდოეთის ოკეანეს და აფრიკის უდიდეს ტბა ვიქტორიის, ტანგანიიკის და ნიასისის შუა. მჭიდროდ გარს არტყია გერმანიის ახალშენს მისი აწინდელი მეტრის სამფლობელო; ჩრდილოეთით და დასავლეთ სამხრეთით გერმანიის ახალშენი აპყუდებია ინგლისის სამფლობელოს, სამხრეთით ჩაპბჯენია ბელგიას მდიდარ კონგოს, დასავლეთით—პორტუგალიის მოხამბიკს.

**ქვეყნის ზედაპირი.** ახალშენის ზღვის ნაპირი, საზოგადოდ ნაონობისთვის ხელსაყრელია. იგი საკმაოდ დაჭრილია ყურეებით. ამას გარდა, ნაპირების გაყოფებაზე ჩამწკრივებულია მოზრდილ კუნძულთა კრიალოსანი, რომელთა შორის მარტო „მოფია“ ეკუთვნის გერმანიას.

ოკეანეს ნაპირიდან თვალწინ იშლება ვიწრო, ქვიშიანი დაბლობი, რომელიც ნელა-ნელა მალდება და შეუმჩნევლად იქცევა დაქანებულ კიდეთ, რომელიც შემდგარია ცარცის ეპოქის მარჯნის ქვაკირისაგან. ეს კიდე ქვეყნის შუაგულისკენ მსუბუქი ქვიშნარია. აქ ხუთასი მეტრის სიმაღლეზე მგზავრი უნებლიეთ ჩერდება, გაოცებული უუდიდებულეს სახილველით: მის წინ ზეცამდის აღმართულია გნესითა კრისტალლოვან სიბთა უზარმაზარი ციცაბო კედელი, დაგვირგვინებული ჩამოლესილ მწვერვალით. ეს კედელი წარმოადგენს ზევითკენ აღმართულ ნაპირს, რომელსაც უკავია ქვეყნის მთელი შუაგული. მის დაქანებულ ჯურღმულებით სავსე ზღვის ნაპირა ნაწყვეტის წინ გაფანტულია, დარაჯთა ჯაჭვივით, მთების რიგი—უწინდელ მალლობის

ნაშთი. ეს მთები მოწყვეტილან ჩხრიალა წყლების გამღვევლ ძალის მოქმედებით. ჩრდილოეთით ამ მაღლობის ნაპირი ფრიად უახლოვდება ზღვას, დასავლეთით კი ნელ-ნელა შორდება.

**ჰავა.** გერმანიის ახალშენების ჰავა სრულიად ტროპიკულია. მთელი წლის განმავლობაში ევროპიელი იხარშება სიცხე-პაპანაქებაში, რომელიც მსუბუქდება ხოლო მაღლობებზე, სადაც გრილი ადგილების შუათანა სითბო 21<sup>0</sup> არის. კლიმანჯაროს მწვერვალზე კი ისე ცივა, რომ მთელი წლის განმავლობაში თოვლი ძევს.

**მცენარეულობა.** ამ ქვეყნის მცენარეულობა შეთვისებია თვის ბუნებას, მის ნახევარ წლის სიმშრალეს. მინდვრებზე დაფენილია ხშირი ბალახი; ზოგან ბალახში შეხიზნულან სხვა ყვავილოვან მცენარეთა ჯგუფები; უფრო იშვიათად ვხვდებით ბუჩქებს ან მაღლად ამართულ თხელ შტოებიან ლობიოს ხეებს. სავანებშიაც ხასხასა ბალახია უფრო ხშირი; ყველგან გვხვდება ბუჩქები და ხეები, უმეტესად კი ლობიოს ხეები, უზარმაზარი ბაობაბები და ბზა. „დუმი“ მინდვრები და სავანეები ერთი მეორეს უთმობენ ადგილს, და გაჭიმულან ფართო მოზნე-ქილ სრეთ ჩრდილოეთ სამხრეთისკენ ტბა ვიქტორიის დასავლეთ აღმოსავლეთით. და აღმოსავლეთ ნაპირებიდან ზღვის ნაპირის შუაგულისკენ. ქვეყნის ჩრდილოეთ აღმოსავლეთის კუთხეში, სადაც უმეტესი სიმშრალეა, ეს მინდვრები ბალახით ღარიბ ბუჩქნარ მინდვრებად იქცევიან.

წვიმიანობის დაწყების ოთხი კვირის წინ, რომ გადახედოთ აქაურობას, წარმოგიდგებათ მწუხარე სურათი: ბალახი გაყვითლებულა და გამხმარა, ხეებს და ბუჩქებს ფოთლები ჩამოსკვივნიათ გატიტვლებულან, ჰაერში აღმური ტრიალებს, ტატანებაზე მოსჩანან ფართო ცეცხლ-წაკიდებული მინდვრის სრეები — ეს მკვიდრი სწვავენ ძველ ბალახს, რომ ახლის ზრდას უკეთესი ძალა მ-ეცეს. წვიმიანობის ორი კვირის წინ ბუნება იღვიძებს: ჯერ უფოთლო ბუჩქები და ხეები იხურავენ ყვითელ და იისფერ ყვავილობის ქუდებს, ამ დროს კი დანარჩენნი მოუთმენლად მოეღიან პირველ ნიაღვარს, რომ ერთბაშად, თითქოს ჯადოქარის ჯოხის დაქნევით, შემოსოს შავი დამწვარი მიწა ყვავილთა და მწვანეულობის კრელ ხალიჩით და დაბნიდონ ჰაერი თავისი სურნელოვანებით. ერთი, ორი კვირა, და ამ დიად სურათიდან არა რჩება კვალიც კი; ყვავილნი ჰქრებიან, ხეები ფოთლით იმოსებიან, ბალახი იზრდება ადამიანზე მაღალი და პირუცყნი დამშეული გვალვის დროს, იწყებენ ხარბად ჰამასა და ნეტარებას ეძლევიან.

**პირუტყვთა ქვეყანა.** გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის სავანეები და მინდვრები წარმოადგენენ საუკეთესო ბუნებრივ საძოვრებს, რომელნიც ასაზრდოებენ დიდძალ პირუტყვს. ურიცხვი პირუტყვი სძოვს ბალახს ცხენ-ირემთა, ანტილოპათა ნახირთან ერთად; ადგი-ადგილ დაძრწიან ვამპირს, სპილოთა და ეირაფთა ჯგუფები სირაქლემათა გროვაში. ბალახში დადის მოუხეშავი მარტორქა, ხშირად გვხვდებიან მაიმუნ პავიანთა ხროვები, რომელნიც დაეძებენ ქვების ქვეშ თავის საყვარელ საჭმელს—მწერებს; სავანეების ხეები ჰფარავენ ნახევარ მაიმუნებს, მდინარეებში სახლობს ჰიპპოპოტამი, ურიცხვი ფრინველი გალობს სხვა და სხვა ხმებით ტყის შესავალში; მიწაზე დაძრწიან მარაბუები და სხვა მინდვრის ფრინველი, რომელიც ასაზრდოებს მრავალ ფთარს.

აღმოსავლეთ აფრიკის ტყეები შეუდარებლივ ღარიბნი არიან პირუტყვთა რიცხვით. თითო ოროლა ანტილოპა, მდინარის ღორი, სხვა და სხვა თუთიყუში, ბანანიჭამია, დევი ტურაკო და ჭია გოლიათი მეტად შესანიშნავნი არიან აქაურ ტყიურ პირუტყვთა შორის.

გ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

## დაბრძალებული პილოტი

ფრანგული ორგანო „კოლონია“ გადმოგვცემს დრამატულ თავგადასავალს ერთი ფრანგი პილოტისას, რომელიც ფრენის დროს დაბრძადა გერმანელთა შრაპნელით.

ჯვარედინს გზაზე, ამბობს ფრანგი პილოტი, რომელიც გარს უფლის სოფელს ს... მე და ჩემმა თანამგზავრმა აფიცერმა შევნითნეთ ჰაეროპლანდგან გერმანელთა დაფარული ბატარეები, რომლებიც განუწყვეტლივ ისროდნენ.

— სისხლი სისხლისა წილ, ამბობდა ჩემი ლეიტენანტი მუშტის მოღერებით რ მითითებდა მტერზე.

— ჩვენი ვალი მოვიხადეთ, მეუბნებოდა ის, ეხლა კი ჩქარა გავსწიოთ.

მე საჭე მოვაბრუნე. — არ გაგვევლო 500 მეტრი, რომ სეტყვასავით დაგვაყარე ტყვია. სქელი ბოლი შემოგვეხვია გარშემო და ჩვენ ოცი მეტრის მანძილზე ვეღარაფერს ვარჩევდით. მე უფრო მაღლა ავედი, მაგრამ აქ ამ დროს გასკდა შრაპნელი და თვალეში ვიგრძენ მწვანე ტყვილეები. ვეღარა-

ფერს ვხედავდი, თვალთა ჩინი — მხედველობა დავ-  
 კარგე. ამისდა მიუხედავად მე მაინც ვცდილობდი  
 აპარატის მიმართულება არ შემეცვალა, რომ კვა-  
 ლად ჯოჯოხეთში არ ჩავცვინულიყავით —, ხომ არა-  
 ფერია დაზიანებული, შევიკითხე ჩემს თანამგზავს.

პასუხს არ მაძლევდა. კვლავ გავიმეორე ჩემი  
 კათხვა. მაგრამ ამოდ — იგივე დუმილი იყო პასუ-  
 ხად. ჩემს გარშემო სიბნელიე სუფევდა, ცოცხალი  
 ვიყავ, მაგრამ იმავე დროს ბრმა. ჩემი ლეიტენანტი  
 მკვდარი მეგონა, ჩემი ყოფა კრიტიკული იყო.  
 ათას-ხუთასი მეტრის სიმაღლეზე დედამიწიდან ცის  
 სივრცეში და ისიც ბრმა. არ ვიცოდი რა მექნა,  
 როგორ მიმეგნო ჩვენებისთვის. გამოვაბრუნე აპარა-  
 ტი და აღლო აღებით გავსწიე ჩვენებისაკენ.

— დავიმსხვრევით. ჩქარა ზევიტყენ. ჩემდა  
 მოულოდნელად მომადახა ჩემმა ლეიტენანტმა. ბევ-  
 რი აღარ მიფიქრია ავმართე საქე და ჩვენმა აპა-  
 რატმა უცებ ნახტომი გააკეთა, თითქოს რალაცას  
 დაეჯახაო, ბოლოს მივხვდით რომ ჩვენი აპარატს  
 ფთა სამრეკლო მწვერვალს დასჯახებოდა და ჩვენ-  
 და საბედნიეროთ არაფერი გაფუჭებულიყო.

— უკაცრავათ მე არ შემძლიან კარგა ვმარ-  
 თო საქე — უთხარი ჩემს ლეიტენანტს.

— მეც ძლიერ ვარ დაჭრილი, მომიგო მან.

— მარცხნივ, მარცხნივ, დამიძახა ჩემმა თი-  
 ნამგზავრმა, სამი წამის შემდეგ კვლავ მომესმა  
 მისუსტებული ხმა ჩემი ლეიტენანტისა.

— კარგი, ჩვენ მოვედით. მატორი ნელინელ  
 შეაჩერე. სუბუქათ დაეშვი, სუბუ... აქ ხმა მისი  
 მისწყდა. ერთი წუთის შემდეგ აპარატმა ჩახა მოი-  
 ლო, ფრთა მოსტეხოდა, ჩვენ უკვე მიწაზე ვი-  
 ყავით. მე ბრმა გადამიყვანეს აპარატიდან.

X

**ძართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას**

რა საშუალებას უნდა მივმართოთ, რომ  
 შაბიამანის რაოდენობა ვაზის წამლო-  
 ბაში მინიმუმამდე მივიყვანოთ.

რადგანაც შაბიამანის საშინელ სიძვირის გამო, უოფ-  
 ლად შეუძლებელი ხდება ვაზის ჩვეულებრივი წამლობა,  
 უმჯობესია ისეთ საშუალებას მივმართოთ, რამდის შე-  
 მადგენლობაში შაბიამანის მინიმუმი შედის. ასეთ საშუა-  
 ლებად ჩვენ მიგვაჩნია „ციური წყალი“ (Eau céleste).

იგი უფრო ინტენსიურად მოქმედებს ვაზზე, ვიდ-  
 რე ბორდოს სითხე; 1886 წელს სამხრეთ საფრანგეთში  
 დიდ გვალვის დროს დამტკიცდა, რომ „ციური წყლის“  
 გაყვანა უფრო დიდხანს ეტეობოდა ვაზის ფოთლებს,  
 ვიდრე სხვა რომელიმე წამლის გამოყენება.

„ციური წყლით“ წამლობის შრომები ისეთია,  
 როგორც ბორდოს სითხით წამლობის შრომები: წამლო-  
 ბა უნდა მახდეს უსათუოდ კარგ დარბი; შირველი წამ-  
 ლობა — მისის შირველ რიცხვებში, მეორე წამლობა —  
 თვეწახეყარ ანუ ორი თვის შემდეგ; მესამე წამლობა  
 უსათუოდ რთველის წინ 15 დღით. „ციური სითხის“  
 მომზადება ძლიერ ადვილია და უკუდა შეგნახეს შეუძ-  
 ლიან მისი მომზადება; სახეშია მხოლოდ მისაღები შა-  
 ბიამანის სიწმინდე, ე. ი. ის უნდა იყოს ნაბედილი წმინ-  
 და დაკრისტალებული შაბიამანი. სითხის მოსამზადებლად  
 უნდა ავიდეთ ერთი (1) კილოგრამი შაბიამანისა (3)  
 ვერმუტის (litre) ბოთლ ცხელ წყალში. აუცილებელი  
 საჭიროა ეს ამქრავია, ხის ანუ თიხის ჭურჭელში ხდე-  
 ბოდეს. კრისტალების დასამქვლად ხშირად უნდა ურიოთ  
 ჯახით. რადესაც სითხე გაცივდება და კრისტალების  
 დაშლაც დამთავრდება, მაშინ ამ სითხეს უნდა მიუმატოთ  
 ვერმუტის ბოთლსახეყარი ნიშადურის სპირტი ე. ი.

ნიშადურის სპირტი, რომელსაც ბაზარი გააწვდის. წამ-  
 ლობის დროს ეს სითხე უნდა გაურიოთ 200 ვერმუტის  
 ბოთლ წყალში და ვერმუტის ანუ რომელიმე მანქა-  
 ნით შეუშხაზუნოთ ვაზს. თითო ჰექტარს (hectare \*)  
 უნდება 200—300 ბოთლი სითხე. საჭიროა აგრევე  
 წამლობის წინ ხახეყარ დღით ადრე მზადდებოდეს ეს  
 სითხე. თუ ვიანგარიშებთ წამლობის მაქსიმუმის გაჩეო-  
 რებას ე. ი. თუ ვენახს ოთხჯერ დასჭარდა წამლობა,  
 რადგანაც საშუალოდ, თითო ჰექტარს უნდება 250 ბოთ-  
 ლი სითხე, მაშასადამე, ოთხჯერ განმეორებული წამლო-  
 ბა თითო ჰექტარზე შაბიამანის მხოლოდ 5 კილოგრამ  
 შაბიამანს, რაც ჩვენას აზრით მინიმუმს შეადგენს.

კარგი იქნება ქ. ს.-სამეურნეო საზოგადოებამ ამას  
 ჟეოგრაფი უკრადლება შიამქციოს.

ე. ალშიბაია



\*) ჰექტარი ათიათასი ოთხკუთხი მეტრია ე. ი. დესი-  
 ტინაზე 925 ოთხკუთხი მეტრით ნაკლებია.

რედაქტორ-გამომცემელი რ. გაბაშვილი

